დანართი N4

COVID-19 შემთხვევის განსაზღვრება (დროებითი)

1. **ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევების განსაზღვრება (დროებითი, რომელიც ექვემდებარება განახლებას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად):**

ა) შესაძლო შემთხვევა

ა.ა) პაციენტი მწვავე რესპირაციული ინფექციით (ცხელებით და ერთ-ერთი რესპირატორული სიმპტომით მაინც, მაგ. ხველა, სუნთქვის უკმარისობა) **და** არ უკავშირდება სხვა ეტიოლოგიას, რომელიც ახსნიდა კლინიკურ მანიფესტაციას **და** სიმპტომების დაწყებამდე 14 დღით ადრე, მოგზაურობდა ან ცხოვრობდა COVID-19-ის ლოკალური გავრცელების ზონაში (იხ. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სიტუაციური ანგარიში);

ან

ა.ბ) პაციენტი ნებისმიერი მწვავე რესპირაციული ინფექციით **და** სიმპტომების გაჩენამდე 14 დღის განმავლობაში კონტაქტი COVID-19-ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევასთან (იხ. კონტაქტის განსაზღვრება);

ა.გ) პაციენტი მძიმე მწვავე რესპირაციული ინფექციით (ცხელებით და ერთ-ერთი რესპირატორული სიმპტომით მაინც, მაგ. ხველა, სუნთქვის უკმარისობა) **და** ჰოსპიტალიზაციის საჭიროება **და** არ უკავშირდება სხვა ეტიოლოგიას, რომელიც ახსნიდა კლინიკურ მანიფესტაციას.

ბ) სავარაუდო შემთხვევა

შესაძლო შემთხვევა, რომლის COVID-19-ზე ტესტირებისას არის გაურკვეველი შედეგი;

გ) დადასტურებული შემთხვევა

COVID-19-ით ლაბორატორიულად დადასტურებული პირი, კლინიკური გამოვლინებებისა და სიმპტომებისგან დამოუკიდებლად.

2. **კონტაქტში მყოფი (კონტაქტირებული) პირის განსაზღვრება:**

ა) კონტაქტში მყოფი პირი არის, რომელიც აკმაყოფილებს ჩამოთვლილთაგან ერთ კრიტერიუმს მაინც:

ა.ა) COVID-19-ით დაავადებული პაციენტების უშუალო მოვლა, პირადი დამცავი საშუალებების არასათანადოდ გამოყენებისას;

ა.ბ) COVID-19-ით დაავადებულ პაციენტებთან ახლო გარემოში მუშაობა, სასწავლო ოთახებში ყოფნა, შეკრებებზე ყოფნა ან ერთ შინამეურნეობაში ცხოვრება;

ა.გ) COVID-19-ით დაავადებულ პაციენტებთან ერთად მჭიდრო გარემოში (1 მეტრი, 15 წუთი და მეტი ხანგრძლივობით) მგზავრობა ნებისმიერი ტიპის ტრანსპორტით სიმპტომების გაჩენამდე 14 დღის განმავლობაში.

3. **დადასტურებული ან სავარაუდო შემთხვევების კონტაქტების მონიტორინგი:**

ა) კონტაქტირებულ პირებზე მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ბოლო დაუცველი კონტაქტიდან 14 დღის განმავლობაში;

ბ) კონტაქტირებულმა პირებმა თავიანთ თავებს უნდა დაუწესონ მგზავრობისა და მოძრაობის შეზღუდვა. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უწყების მიერ, სიმპტომების მონიტორინგი შესაძლებელია ჩატარდეს შინამეურნეობებში ვიზიტით ან ვირტუალურად ან ტელეფონის საშუალებით;

გ) ნებისმიერი კონტაქტირებული პირი, რომელიც გახდება ავად და დააკმაყოფილებს შემთხვევის განსაზღვრებას, უნდა კლასიფიცირდეს როგორც შესაძლო შემთხვევა და ჩაუტარდეს ტესტირება;

დ) უნდა ჩატარდეს ნებისმიერი ახლად იდენტიფიცირებული სავარაუდო ან დადასტურებული შემთხვევის კონტაქტირებული პირების იდენტიფიცირება და მონიტორინგი.

დამატებითი ინფორმაცია:

www.moh.gov.ge
ცხელი ხაზი: 1505

www.ncdc.ge
ცხელი ხაზი: 116001

StopCoV.ge